

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
მიკრო ბიზნეს კაპიტალი“



ნახევარი წლის  
ინდივიდუალური  
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისს დასრულებული  
საანგარიშგებო პერიოდისათვის

საქართველოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის III თავის მე-11 მუხლის საფუძველზე (პერიოდული ანგარიშები და ანგარიშგების წარმოების მოთხოვნები) და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 07 ოქტომბრის N181/04 ბრძანების შესაბამისად, წარმოგიდგინებ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ (404967078) ნახევარი წლის ანგარიშს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- სრული შემოსავლის ანგარიშგება
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
- ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
- მმართველობითი ანგარიშგება

ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 30 ივნისს დასრულებული ნახევარი წლისათვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ტარას ნიჟარაძე



გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილი



ფინანსური დირექტორი

თათია ჯაჯანაშვილი



სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	30 ივნისი 2023	31 დეკემბერი 2022	30 ივნისი 2022
<b>აქტივები</b>			
ნაღდი ფული და ფულადი სახსრები ანგარიშებზე	6,007	6,778	7,170
მთლიანი სესხები	95,183	90,241	85,033
სხვა აქტივები	3,595	4,109	1,388
საგადასახადო აქტივი	48	267	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	137	137	394
არამატერიალური აქტივები	369	407	332
აქტივის გამოყენების უფლება	5,334	5,511	6,003
ძირითადი საშუალებები	2,556	2,785	2,823
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>113,228</b>	<b>110,235</b>	<b>103,143</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სუბორდინირებული სესხები და სხვა მიღებული სესხები	87,984	84,214	75,151
საიჯარო ვალდებულებები	4,669	5,348	6,733
სხვა ვალდებულებები	703	719	1,415
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>93,356</b>	<b>90,281</b>	<b>83,299</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	2,255	2,255	2,250
საემისიო კაპიტალი	1,136	1,136	1,117
პრივილეგირებული აქციები	6,989	7,464	7,347
გაუნაწილებელი მოგება	9,492	9,099	9,130
<b>მთლიანი კაპიტალი</b>	<b>19,872</b>	<b>19,954</b>	<b>19,844</b>
<b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>113,228</b>	<b>110,235</b>	<b>103,143</b>

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
საპროცენტო შემოსავალი	12,495	10,485
საპროცენტო ხარჯი	-4,720	-3,891
<b>წმინდა საპროცენტო მოგება (ზარალი)</b>	<b>7,775</b>	<b>6,594</b>
საკომისიო შემოსავლები	1,046	1,170
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	1,467	1,782
მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-2,755	-4,395
<b>საოპერაციო მოგება (ზარალი)</b>	<b>7,532</b>	<b>5,151</b>
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	-1,441	264
პერსონალის ხარჯები	-3,519	-3,352
ცვეთა და ამორტიზაცია	-888	-862
სხვა საოპერაციო ხარჯები	-1,072	-1,120
<b>მოგება (ზარალი) გადასახადებამდე</b>	<b>613</b>	<b>81</b>
მოგების გადასახადი	-	-
<b>წმინდა მოგება (ზარალი)</b>	<b>613</b>	<b>81</b>

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>612</b>	<b>81</b>
კორექტირებები:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	332	-264
წმინდა ცვლილება დარიცხულ პროცენტებში	28	-195
ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაციის მოგება (ზარალი)	-93	-166
ცვეთა და ამორტიზაცია	888	862
ბონუსი, აუდიტი და სხვა დარიცხული მომსახურების გადასახადი	144	64
დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)	4	-20
დასაკუთრებული ქონების გაუფასურება	110	0
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება (ზარალი)	-1,268	-1,782
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-126	0
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებამდე</b>	<b>631</b>	<b>-1,420</b>
ცვლილებები საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში		
მთლიანი სესხები	-5,273	-11,376
სხვა აქტივები	602	157
საგადასახადო აქტივი	-48	0
სხვა ვალდებულებები	-160	-561
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე</b>	<b>-4,248</b>	<b>-13,200</b>
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა	-214	-
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები</b>	<b>-4,462</b>	<b>-13,200</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-205	-187
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	235	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	4	-53
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>	<b>34</b>	<b>-240</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:</b>		
მიღებული სხვა ნასესხები სახსრები	50,054	47,295
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	-45,034	-39,932
გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები	-475	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	-532	-522
გადახდილი დივიდენდები	-220	-530
<b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები</b>	<b>3,793</b>	<b>6,311</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)</b>	<b>-635</b>	<b>-7,129</b>
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	6,778	13,879
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	-136	420
<b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>6,007</b>	<b>7,170</b>

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ (არააუდიტირებული)

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	სააქციო პრემია	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2,250</b>	<b>1,117</b>	<b>7,347</b>	<b>9,579</b>	<b>20,293</b>
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან					
გამომწვებული ჩვეულებრივი აქციები	5	19	117	(117)	24
	<b>5</b>	<b>19</b>	<b>117</b>	<b>(117)</b>	<b>24</b>
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
დივიდენდების გამოცხადება	-	-	-	(1,020)	(1,020)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	657	657
	-	-	-	(363)	(363)
<b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>7,464</b>	<b>9,099</b>	<b>19,954</b>
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან					
გამომწვებული ჩვეულებრივი აქციები			-	-	-
გამომწვებული არა დაბრუნებადი პრივილეგირებული აქციები	-	-	(475)	-	(475)
	-	-	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
დივიდენდების გამოცხადება	-	-	-	(220)	(220)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	613	613
	-	-	-	393	393
<b>2023 წლის 30 ივნისი</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>6,989</b>	<b>9,492</b>	<b>19,872</b>

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (არააუდიტირებული)**

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

**1. ზოგადი ინფორმაცია  
ორგანიზაცია**

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ დაარსდა 2012 წლის 6 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება (შემდგომში “ორგანიზაცია“), საიდენტიფიკაციო ნომრით - 404967078. ორგანიზაცია საქმიანობას წარმართავს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ“).

ორგანიზაცია მიზნად ისახავს კლიენტებზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევას მიკრო და მცირე ბიზნესებსა და ფერმერებზე, თანხებსა და სასესხო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, კლიენტებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობების შენარჩუნებას. ორგანიზაცია, როგორც ფინანსური ინსტიტუტი სოციალური პასუხისმგებლობით, მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ორგანიზაციის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც შერჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

2023 და 2022 წლების 30 ივნისის მდგომარეობით, ორგანიზაციის მფლობელები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მეწილეები	30 ივნისი 2023			
	მთლიანი ჩვეულებრივი აქტივების პროცენტული ღირებულება	ჩვეულებრივი აქტივების ნომინალური ღირებულება	A ტიპის პრივილეგირებული აქტივების რაოდენობა	B ტიპის პრივილეგირებული აქტივების რაოდენობა
გია პეტრიაშვილი	31.76%	716,000	27,000	100
ოთარ რუხაძე	14.42%	325,000	108,000	400
თენგიზ მაზიაშვილი	9.29%	209,500	33,750	125
ტარას ნიჟარაძე	8.25%	186,000	99,900	190
მურმან ამბროლაძე	7.98%	180,000	13,500	50
გოდერძი მელაძე	6.65%	150,000	40,500	150
გიორგი გოტოშია	6.65%	150,000	13,500	50
გიორგი ვაჩნაძე	5.48%	123,500	14,850	55
JB LLC	2.66%	60,000	27,000	100
ეთერ ჩაჩიბაია	2.00%	45,000	-	-
გიორგი ღვალაძე	1.95%	44,000	-	-
თათია ჯაჯანაშვილი	1.49%	33,500	-	-
ნინო დევდარიანი	1.42%	32,000	-	-
	<b>100%</b>	<b>2,254,500</b>	<b>378,000</b>	<b>1,220</b>

30 ივნისი 2022

მეწილეები	მთლიანი ჩვეულებრივი აქტივების პროცენტული ღირებულება	ჩვეულებრივი აქციების ნომინალური ღირებულება	პრივილეგირებული აქციების რაოდენობა
გია პეტრიაშვილი	31.82%	716,000	200
ოთარ რუხაძე	14.44%	325,000	800
თენგიზ მაზიაშვილი	9.31%	209,500	250
ტარას ნიჟარაძე	8.27%	186,000	740
მურმან ამბროლაძე	8.00%	180,000	100
გოდერძი მელაძე	6.67%	150,000	300
გიორგი გოტოშია	6.67%	150,000	100
გიორგი ვაჩნაძე	5.49%	123,500	110
JB LLC	2.67%	60,000	200
ეთერ ჩაჩიბაია	2.00%	45,000	-
გიორგი ღვალაძე	1.96%	44,000	-
თათია ჯაჯანაშვილი	1.49%	33,500	-
ნინო დევდარიანი	1.22%	27,500	-
	<b>100%</b>	<b>2,250,000</b>	<b>2,800</b>

## 2. მომზადების საფუძვლები

### ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ორგანიზაციის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

### შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა.

### საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ორგანიზაცია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.



## **2023 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:**

2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული, ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ასევე, ორგანიზაციას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

#### **მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება**

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

#### **იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახადები**

ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ორგანიზაცია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

### **უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება**

ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის ღირებულება დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

### **გადასახადები**

სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება და ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს გადასახადებთან დაკავშირებული რისკები.

## **4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა**

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

### **ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

## საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ორგანიზაციის ფინანსურ ზარალს. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივებისათვის ასევე აღიარება შეწყვეტილი სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის), რომელშიც გათვალისწინებულია პორტფელის კონცენტრაციის ლიმიტების სახელმძღვანელო. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მმართველთა საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- კონტრაგენტების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს საკრედიტო ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის გადახდისუნარიანობა; საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ასევე მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას.

ორგანიზაცია ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს და რეგულარულად აფასებს მისი კლიენტების გადახდისუნარიანობას. მიმოხილვა ეფუძნება კლიენტების ყველაზე ახალ ფინანსურ მდგომარეობას და სხვა მსგავსი ჯგუფის მსესხებლის მიერ წარმოდგენილ ან ორგანიზაციის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. რეგულარული მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის აღმოჩენას, მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ასევე მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას (კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი იხილეთ მე-6 შენიშვნაში).

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არაღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი.

საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	2,156	3,180
კლიენტებზე გაცემული სესხები	95,182	85,033
სხვა აქტივები	3707	73
	<b>101,045</b>	<b>88,287</b>

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია სიმძელებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც ის სხვადასხვა ტიპის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

ორგანიზაციის ლიკვიდურობის მართვის ამოცანაა, რომ ფულადი თანხები იყოს ხელმისაწვდომი, დამდგარი ფინანსური ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ფულადი ნაკადების დაგეგმვას ძირითადი ვალუტების ჭრილში და მათთან დაკავშირებით საჭირო ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებას;
- დაფინანსების წყაროების მრავალფეროვანი დიაპაზონის უზრუნველყოფას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სესხის დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები სესხის გაცემასთან დაკავშირებული პირობებისა და მათი ყველაზე ადრინდელი სახელშეკრულებო ვადიანობის გათვალისწინებით. ცხრილებში განხილული მთლიანი შემოდინება და გადინება მოიცავს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

ფინანსური აქტივები	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,007	-	-	-	6,007
კლიენტებზე გაცემული სესხები	8,034	23,065	51,804	12,279	95,182
სხვა ფინანსური აქტივები	3747	-	-	-	3747
<b>წარმოებული ფინანსური აქტივები</b>					
შემოდინება	36,418	-	-	-	36,418
გადინება	-36,162	-	-	-	-36,162

<b>სულ</b>	<b>18,044</b>	<b>23,065</b>	<b>51,804</b>	<b>12,279</b>	<b>105,192</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სუბორდინირებული სესხები			5,204	-	5,204
სხვა ნასესხები სახსრები	8,470	50,816	23,494	-	82,780
საიჯარო ვალდებულება		487	3,335	847	4,669
სხვა ფინანსური ვალდებულებები	592		-	-	592
<b>სულ</b>	<b>9,062</b>	<b>51,303</b>	<b>32,034</b>	<b>847</b>	<b>93,245</b>
<b>წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია</b>	<b>8,982</b>	<b>-28,237</b>	<b>19,770</b>	<b>11,433</b>	<b>11,947</b>

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეიცვლება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტთან, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

### სავალუტო რისკების მართვა

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი და სხვა ვალუტები
ფული და ფულის ექვივალენტი	3,449	2,558
გაცემული სესხები	93,903	1,279
სხვა აქტივები	3,533	214
<b>სულ</b>	<b>100,885</b>	<b>4,051</b>
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი და სხვა ვალუტები
სუბორდინირებული სესხები	-	5,204
სხვა ნასესხები სახსრები	43,046	39,734
სალიზინგო ვალდებულებები	234	4,435
სხვა ფინანსური ვალდებულებები	469	123
<b>სულ</b>	<b>43,749</b>	<b>49,496</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>57,136</b>	<b>-45,445</b>
<b>რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი</b>	<b>-36,162</b>	<b>36,418</b>
<b>წმინდა ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>20,974</b>	<b>-9,027</b>

## საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა; და
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

## პრივილეგირებული აქციები

2018 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ გამოუშვა 2,800 არადაბრუნებადი პრივილეგირებული აქცია ნომინალური ღირებულებით ათასი აშშ დოლარი. 2022 წელს, აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, მოხდა B-კლასის პრივილეგირებული აქციების 50%-ის კონვერტაცია A-კლასის პრივილეგირებულ აქციებში და ცვლილება აისხა ორგანიზაციის აქციონერთა რეესტრში 2023 წლის იანვარში. A კლასის პრივილეგირებული აქციის ნომინალური ღირებულებაა ათი ლარი. დივიდენდების გადახდის შესაძლებლობა დამოკიდებულია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე და სხვა, ყოველწლიური აქციონერთა საერთო კრების მიერ განხილულ ფაქტორებზე.

A-კლასის პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გადახდა განხორციელდება ცვალებადი განაკვეთით, რომელიც შედგება ორი კომპონენტისგან: საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით („რეფინანსირების განაკვეთი“) და აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული განაკვეთით, რომელიც შეადგენს 6.5%-ს. დივიდენდის გადახდა B-კლასის პრივილეგირებულ აქციებზე განხორციელდება ფიქსირებული განაკვეთით, რომელიც შეადგენს 10%-ს. ორგანიზაციის წესდების მიხედვით, თუ სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტს, რომ დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე არ იქნება გადახდილი ორჯერ მიყოლებით, ან დივიდენდის განაკვეთი შემცირდება დათქმულ ვადაზე ადრე, პრივილეგირებული აქციების მფლობელს უფლება ექნებათ გადაცვალოთ კუთვნილი პრივილეგირებული აქციები ჩვეულებრივ აქციებში.

## დივიდენდები

დივიდენდების ვალდებულება შეზღუდულია ორგანიზაციის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2023 წელს იანვრის თვეში ორგანიზაციამ გამოაცხადა 220 ლარის ოდენობით პრივილეგირებული დივიდენდები, ხოლო 2022 წელს ორგანიზაციამ გამოაცხადა 1,020 ლარის ოდენობით პრივილეგირებული დივიდენდები.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
მიკრო ბიზნეს კაპიტალი“



2023 წლის ნახევარი წლის  
მმართველობითი  
ანგარიშგება

## ჩვენ შესახებ

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (შემდგომში ემბისი) თანამედროვე, ინოვაციური და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ფერმერებისთვის მათზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისების შეთავაზება, ფინანსური სახსრების და სასესხო პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობა მომხმარებელთან.

ემბისი, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, ორიენტირებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.

## 2023 წლის პირველი ნახევრის მიმოხილვა

2020-2022 წლები სირთულეებით და გამოწვევებით სავსე წლები იყო, რომელიც ჯერ პანდემიით დაიწყო, ხოლო შემდეგ, 2022 წლის თებერვალში რუსეთ-უკრაინას შორის საომარი ვითარების დაწყებით გაგრძელდა. აღნიშნულმა საქართველოს ფინანსური ბაზარიც მნიშვნელოვანი რისკების წინაშე დააყენა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო იმ მომხმარებლების ქცევა, რომელთა შემოსავლებიც თუ საქმიანობაც დაკავშირებული იყო რუსეთ-უკრაინასთან. იქიდან გამომდინარე, რომ ის მომხმარებლები რომელთა შემოსავლის წყარო უკავშირდება რუსეთს და უკრაინას (ექსპორტი, იმპორტი, გზავნილები) პორტფელში დაბალი კონცენტრაციით არიან წარმოდგენილი, ემბისის საკრედიტო რისკებზე ომს პირდაპირი მატერიალური გავლენა არ მოუხდენია როგორც 2022, ისე 2023 წელს.

2023 წელი შედარებით უფრო სტაბილური ბაზრის მაჩვენებლებით და მაღალი ეკონომიკური ზრდით გამოირჩევა, წინასწარი შეფასებით, 2023 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 7.7% შეადგინა, ხოლო 2023 წლის პირველი ექვსი თვის საშუალო მაჩვენებელი 7.6%-ით განისაზღვრა. 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, წლიურმა ინფლაციამ 0.6 % შეადგინა, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 7.6% შეადგინა, რაც გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით 5.3%-ით ნაკლებია. აღნიშნულმა ტენდენციებმა, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსზე და ლარი 2023 წლის პირველ ნახევარში აშშ დოლართან მიმართებაში 3%-ით გამყარდა. აღნიშნულმა დადებითი გავლენა იქონია რეფინანსირების განაკვეთზეც, რომელიც 2023 წლის მასში, 2022 წლის ბოლოსთან შედარებით 0.5%-ით შემცირდა და 10.5% შეადგინა. ანგარიშგების გამოშვებამდე, აგვისტოს თვეში, რეფინანსირების განაკვეთი კიდევ შემცირდა და 10.25% შეადგინა. რეფინანსირების განაკვეთის შემცირებამ დადებითი გავლენა იქონია კომპანიის მოზიდული სახსრების ფასზე, რაც აისახა ცვლად განაკვეთში მოზიდული სესხების ფასის შემცირებაში. 2023 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა აშშ დოლარის ლარში ჰეჯირების განაკვეთიც, რომელიც 2022 წელს საშუალოდ 10.5% იყო, ხოლო 2023 წლის პირველ ნახევარში 7.3%-მდე ჩამოვიდა. აღნიშნული ცვლილება მატერიალურ დადებით გავლენას ახდენს ჰეჯირების ხარჯებზე და ორგანიზაციის ფინანსურ შედეგებზე.

## ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელთან შედარებით, შემცირდა საკრედიტო პროდუქტებზე მოთხოვნა და მიკროსაფინანსო სექტორის ზრდის მაჩვენებელი, 2023 წლის პირველ ნახევარში ემბისიმ წარმატებით მოახერხა ძირითადი საქმიანობით მიღებული შედეგების გაუმჯობესება. 2023 წლის ივნისის თვის ბოლოს, 2022 წლის დეკემბერთან მიმართებაში, მთლიანი სასესხო პორტფელი 6%-ით გაიზარდა და 99,044 ათასი ლარი შეადგინა. ემბისიმ 2023 წელს ახალი სერვის-ცენტრი აღარ გახსნა, ორგანიზაციამ



გადაწყვიტა, რომ გამოიყენოს არსებული რესურსი და გაზარდოს გასულ წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გახსნილი სერვის-ცენტრების სასესხო პორტფელი, რაც დაეხმარება აგრო და მცირე ბიზნეს სესხების წილის ზრდას მთლიან სასესხო პორტფელში. 2023 წელს გაიზარდა ემბისის აქტიური მსესხებლების რაოდენობაც და ზრდის მაჩვენებელმა ივნისის თვის ბოლოსთვის 3% შეადგინა. ემბისის აქტიური მსესხებლების რაოდენობა ივნისის თვის ბოლოსთვის 8,287 იყო, საიდანაც 65%-ს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ სერვის-ცენტრები ემსახურებიან.

2023 წლის ივნისის თვის ბოლოსთვის ემბისის მთლიანი ვალდებულებები 3%-ით გაიზარდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მოზიდული სახსრების ზრდა იყო რომელმაც 4% (3,770 ათასი ლარი) შეადგინა. 2023 წლის პირველ ნახევარში მოზიდული სესხების ნაწილი ქართული კომერციული ბანკებისგან ლარში, ხოლო ნაწილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან აშშ დოლარში იქნა მოზიდული. ემბისი აქტიურად აგრძელებს საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას და 2023 წლის მეორე ნახევარში 13 მილიონ ლარამდე სესხებს მოიზიდავს, რომელიც ლარში იქნება ნომინირებული და მნიშვნელოვნად შეამცირებს ორგანიზაციის სავალუტო რისკებს.

ემბისის მთლიანი კაპიტალი, 2023 წლის ივნისის თვის ბოლოსთვის, 2022 წლის დეკემბრის თვესთან მიმართებაში, მიუხედავად 2023 წლის პირველ ნახევარში აკუმულირებული მოგებისა, პრაქტიკულად არ შეცვლილა. აღნიშნულის მიზეზი პრივილეგირებულ აქციებზე განაწილებული დივიდენდი იყო, რომელიც ორგანიზაციამ 2023 წლის იანვრის თვეში გამოაცხადა და გასცა. 2023 წლის დასაწყისში, 475 ათასი ლარით შემცირდა ორგანიზაციის პრივილეგირებული აქციების მოცულობა და ანალოგიური მოცულობით მოხდა სუბორდინირებული სესხების გაზრდა, აღნიშნულის შედეგად, შემცირდა ორგანიზაციის მთლიანი კაპიტალი, თუმცა არ შეცვლილა სახედასხედველო კაპიტალის მაჩვენებლები. 2023 წლის 6 თვის აკუმულირებულმა მოგებამ 613 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მატერიალურად აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის შედეგებს (2022 წლის 6 თვის აკუმულირებული წმინდა მოგება 81 ათასი ლარი იყო), რაზეც ძირითადი გავლენა ორგანიზაციის ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა შემოსავლების ზრდამ და გადაფასებიდან მიღებული ზარალის მინიმიზაციამ მოახდინა. მოგების გენერაციაზე დადებითი გავლენა იქონია მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდამ და შესაბამისად გაზრდილმა საპროცენტო და საკომისიო შემოსავლებმა. 2022 წლის ბოლოსთვის, კომპანიას გასულ პერიოდებთან შედარებით მაღალი 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების სესხების მაჩვენებელი ჰქონდა, რაც მთლიანი პორტფელის 5.2%-ს შეადგენდა. აღნიშნული რისკების ზრდამ გავლენა იქონია 2023 წლის პირველი ნახევრის სასესხო დანაკარგებზე და 2023 წლის ივნისის ბოლოსთვის ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი 1,441 ათასი ლარი იყო. გაზრდილი რისკების შემცირება კომპანიამ 2023 წლის მეორე კვარტლიდან დაიწყო და ივნისის თვის ბოლოსთვის 30 დღეზე ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა მთლიან სასესხო პორტფელთან მიმართებაში 4.3% იყო. პორტფელის საკრედიტო რისკების გაუმჯობესება დადებით გავლენას მოახდენს 2023 წლის მეორე ნახევრის შედეგებზე და ჯამურად დააბალანსებს 2023 წლის ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალს.

2023 წლის ივნისის თვის ბოლოსთვის, ემბისი წარმატებით ასრულებდა ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ სახედასხედველო კაპიტალის და ლიკვიდობის კოეფიციენტების მოთხოვნებს, აგრეთვე, 2022 წლის დეკემბრის თვიდან გამოსაწორა და ასრულებს რეგულატორის მოთხოვნას დაგირავებული აქტივების კოეფიციენტისათვის, რომელზეც ორგანიზაციას ეროვნული ბანკისაგან მოპოვებული ჰქონდა გრძელვადიანი ვეივერი. აღნიშნული კოეფიციენტის გამოსწორება ორგანიზაციამ 2022 წლის ბოლოს, 15 მილიონი ლარის არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვებით შეძლო, რითიც ჩაანცვლა ქართული კომერციული ბანკებიდან მოზიდული უზრუნველყოფილი სესხები. აღნიშნული ობლიგაციების გამოშვებით კომპანიამ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა „კაპიტალის ბაზრის

მხარდამჭერ პროგრამაში“, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კაპიტალის და ფინანსური ბაზრების განვითარების გუნდის მიერ, ევროკავშირის ფინანსური ჩართულობით განხორციელდა. აღნიშნულ პროექტში მოპოვებული გრანტით, ემბისიმ ობლიგაციების გამოშვების ხარჯები დააფინანსა. ემბისი მომავალშიც გეგმავს ფასიანი ქაღალდების ბაზაზე აქტიურ მონაწილეობას.

## სოციალური პასუხისმგებლობა

გასულ წლებში არსებული სირთულეების მიუხედავად, ემბისიმ თავისი შედეგებით მრავალჯერ დაამტკიცა, რომ არის სტაბილური, განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელიც ინარჩუნებს დაბალი რისკების მაჩვენებლებს და ასევე მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას იჩენს თანამშრომლების, მომხმარებლების, ფართო საზოგადოებისა და იმ გარემოს მიმართ, რომელშიც უწევს ოპერირება. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ემბისიმ აქტიურად გააგრძელა მუშაობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიით განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით, რაც მოიცავს გარემოს დაცვას, ქალთა გაძლიერებას, ფინანსური განათლების მხარდაჭერას, ახალგაზრდების დახმარებას. ემბისის წარმატებული საქმიანობის დამადასტურებელია ის ჯილდოები, რომელსაც ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონკურსებში მოიპოვებს. 2023 წელს ემბისის გადმოცემა საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის „მელიორას“ ჯილდო - წლის პასუხისმგებელი კომპანია 2022, აღნიშნული კონკურსი ხორციელდება ევროკავშირის და კონრად ადენაურის მხარდაჭერით. ასევე, 2023 წელს ემბისიმ მოიპოვა წლის SDG პიონერი - გაეროს გლობალური შეთანხმების ჯილდო.

## სოციალური საწარმოების მხარდაჭერა

ემბისი კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში განარგმობს სოციალური საწარმოების მხარდაჭერას. კომანია 2023 წელს გახდა პირველი გავლენის ფონდის „აქციოს“ ფინანსური მხარდამჭერი (Impact Investor) და 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 5 ათას აშშ დოლარს გადარიცხავს ფონდში. აღნიშნული თანხით მოხდება სოციალური საწარმოების დაფინანსება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა სოციალური საწარმო „ბაბალე“ და სოციალური საწარმო „ისტორიალი“.

## ფინანსური განათლების მხარდაჭერა

ემბისის ხელს უწყობს ფინანსური წიგნიერებას ამაღლებას ახალგაზრდებში და სკოლებში, მოსწავლეებისთვის ატარებს გაკვეთილებს ფინანსური საკითხების შესახებ - 2023 წელს ემბისის 15 თანამშრომელი საქართველოს 10-ზე მეტ სკოლაში შეხვდა 300-ზე მეტ ბავშვს და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ფულის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სახალისო გაკვეთილები ჩაუტარა. ასევე, ემბისი იყო გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში გამართული სლოგანებისა და პოსტერების კონკურსის მხარდამჭერი და კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული (კატეგორია: "მომხმარებლის რჩეული"), 0.5 ათასი ლარის ოდენობით დააჯილდოვა. ასევე, კომპანია იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონკურსის მხარდამჭერი და გამარჯვებული დააჯილდოვა 1 ათასი ლარის ოდენობით.

## სამომავლო გეგმები

2023 წელს ემბისის მთავარ ამოცანას მიკრო ბანკის ლიცენზიის მოპოვება წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილებისთვის ორგანიზაციამ აქტიური მზადება 2023 წლის დასაწყისიდან დაიწყო და ახალი რეგულაციების შესაბამისად განაახლებს ორგანიზაციის სტრუქტურას, პოლიტიკა-პროცედურებს,

პროგრამულ უზრუნველყოფებსა თუ ფინანსურ ანგარიშგებებს. ლიცენზიის წარმატებით მოპოვების შემთხვევაში, ტრანსფორმაციის პროცესი არ იქნება მარტივი, თუმცა თანამედროვე მიდგომებით, თანამშრომლების, დირექტორატისა და აქციონერების ძლიერი მხარდაჭერით, ორგანიზაცია შეძლებს სტაბილურ განვითარებასა და დასახული მიზნების მიღწევას.